



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

№ 258

ქალაქი ქუთაისი 27 აპრილი 2016 წელი

„თვითმართველ ქალაქ ქუთაისში გარე რეკლამის განთავსების გეგმის დამტკიცების თაობაზე“ თვითმართველი ქალაქის - ქუთაისის საკრებულოს 2010 წლის 24 ნოემბრის №67 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შე ს ა ხ ე ბ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ჟ“ ქვეპუნქტისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად:

მუხლი 1. შეტანილ იქნას ცვლილება „თვითმართველ ქალაქ ქუთაისში გარე რეკლამის განთავსების გეგმის დამტკიცების თაობაზე“ თვითმართველი ქალაქის – ქუთაისის საკრებულოს 2010 წლის 24 ნოემბრის №67 განკარგულებაში, კერძოდ: განკარგულებით დამტკიცებულ გარე რეკლამის განთავსების გეგმას დაემატოს ლოტი №35 და №36 (214-221) და ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით.

/დანართი N1 და N2 განკარგულებას
თან ერთვის/

მუხლი 2. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე რეკლამის განთავსების სანებართვო რეესტრის წარმოება განახორციელოს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერმა, შოთა მურღულიამ.

მუხლი 3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს, კანონით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში /ვ.კუპრადის ქუჩა №11/, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

მუხლი 4. განკარგულება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით.

საკრებულოს თავმჯდომარე

დავით დვალი

ქალაქ ქუთაისში გარე რეკლამის განთავსების გეგმა

ლოტი №35

№	რეკლამის განთავსებელი ადგილის ნომერი	თვითმმართველი ქალაქ ქუთაისის საკუთრებაში არსებული ქონება			გარე რეკლამის განთავსების ადგილის ღერძის კოორდინატები		შენიშვნა
		დასახელება	საჯარო რეესტრის ამონაწერის№	მისამართი	x	y	
1	№214	ტროტუარი	03.04.25.126	ქუთაისი, აღმაშენებლის გამზირი N20-ის სამხრეთით	310576,863	4681373,241	ორმხრივი

შენიშვნა: №35 ლოტით განსაზღვრულ ადგილზე სარეკლამო საშუალება (აღმის ტიპის) მოეწყოს მიწისპირა ნიშნულიდან არანაკლებ +4,50 მ-ისა. სარეკლამო საშუალება უნდა წარმოადგენდეს თანამედროვე მასალებით დამზადებულ მოცულობას, რომლის გაბარიტული ზომები არ უნდა აღემატებოდეს ჰორიზონტალურად 1,50 მ სიგრძეს და ვერტიკალურად 2,5 მ. სიგრძეს. სარეკლამო საშუალება უნდა იყოს კონსტრუქციულად მდგრადი, თანამედროვე საშუალებებით განათებული, უნდა შეეფერებოდეს ქალაქის იერსახეს, სამშენებლო ნორმებსა და წესებს, ასევე საფრთხეს არ უნდა უქმნიდეს ტრანსპორტისა და ქვეითად მოსიარულეთა მოძრაობას.

საკრებულოს თავმჯდომარე

დავით დვალი

ქალაქ ქუთაისში გარე რეკლამის განთავსების გეგმა
ლოტი №36

№	რეკლამის განსათავსებელი ადგილის ნომერი	თვითმმართველი ქალაქ ქუთაისის საკუთრებაში არსებული ქონება			გარე რეკლამის განთავსების ადგილის ღერძის კოორდინატები		შენიშვნა
		დასახელება	საჯარო რეგისტრის ამონაწერის №	მისამართი	x	y	
1	№215	ტროტუარი	03.01.22.018	ბუხაიძის ქუჩა, N3-ის ჩრდილოეთით	308193,83105	4682351,60989	ორმხრივი
2	№216	ტროტუარი	03.06.21.295	დავით აღმაშენებლის გამზირი N7	310947,36562	4681324,80038	ორმხრივი
3	№217	ტროტუარი	03.05.24.729	ზვიად გამსახურდიას გამზირი N47-ის მიმდებარედ	307196,81976	4680730,91069	ორმხრივი
4	№218	ტროტუარი	03.06.03.437	ახალგაზრდობის გამზირი, არხის დასავლეთით ნაკვეთი N2 (სპორტის სასახლის აღმოსავლეთით)	311236,0563	4678467,7832	ორმხრივი
5	№219	ტროტუარი	03.02.21.058	ჯავახიშვილის ქუჩა N1-ის აღმოსავლეთით	308941,10107	4682003,6793	ორმხრივი
6	№220	მწვანე გაზონი	03.04.32.644	ლ.ასათიანის ქუჩა N98-ის სამხრეთით	309548,73342	4680040,85313	ორმხრივი
7	№221	ტროტუარი	03.03.26.329	თამარ მეფის ქუჩა N56-ის აღმოსავლეთით	310996,73732	4681709,27538	ორმხრივი

შენიშვნა: №36 ლოტით განსაზღვრულ ადგილზე თითოეული სარეკლამო საშუალება (ალამის ტიპის) მოეწყოს მიწისპირა ნიშნულიდან არანაკლებ +4,50 მ.-ისა. სარეკლამო საშუალება უნდა წარმოადგენდეს თანამედროვე მასალებით დამზადებულ მოცულობას, რომლის გაბარიტული ზომები არ უნდა აღემატებოდეს ჰორიზონტალურად 0,80 მ. სიგრძეს და ვერტიკალურად 1,30 მ. სიგრძეს. სარეკლამო საშუალება უნდა იყოს კონსტრუქციულად მდგრადი, თანამედროვე საშუალებებით განათებული, უნდა შეეფერებოდეს ქალაქის იერსახეს, სამშენებლო ნორმებსა და წესებს, ასევე საფრთხეს არ უნდა უქმნიდეს ტრანსპორტისა და ქვეითად მოსიარულეთა მოძრაობას.

საკრებულოს თავმჯდომარე

დავით დვალი